

## საარჩევნო კამპანიაში საჯარო მოხელეთა მონაწილეობის წესები

არჩევნების დღეს კენჭისყრა არის ფარული. არჩევანის თავისუფლება უზრუნველყოფილია ყველა თანამშრომლისათვის.

იმისათვის, რომ არჩევნებში ყველა კანდიდატს ჰქონდეს თანაბარი პირობები, აკრძალულია ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება:

- მენეჯერულ პოზიციაზე მომუშავე თანამშრომლები (მაგ., დეპარტამენტის, სამმართველოს უფროსი, განყოფილების დირექტორი და სხვ.) არ შეიძლება იყვნენ არჩეული/დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად;

( საქართველოს საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის ვ) ქვეპუნქტი)

- საჯარო მოხელის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევაში, საჯარო მოხელეს დროებით უნდა შეუჩერდეს უფლებამოსილება მუდმივ სამუშაო ადგილზე, რისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კუთვნილი შვებულება;

( საქართველოს საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის მე-6 პუნქტი)

- საჯარო მოხელე შესაძლებელია იყოს ცენტრალური საარჩევნო და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი;

( საქართველოს საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის მე-6 პუნქტი)

- საჯარო მოხელე არ შეიძლება იყოს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებელი;

( საქართველოს საარჩევნო კოდექსის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტი)

- საჯარო მოხელეს (გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა) არა აქვს უფლება სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას მონაწილეობა მიიღოს აგიტაციასა და წინასაარჩევნო კამპანიაში;

( საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტი თ)ქვეპუნქტი)

- წინასაარჩევნო აგიტაციის ჩატარება აკრძალულია საქართველოს

ადმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში, სასამართლოსა და სამხედრო ნაწილში.კამპანიაში;

(საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-5 მუხლის ა,ბ,გ, ქვეპუნქტები)

- აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში; კამპანიაში;

(საქართველოს საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტი)

- საჯარო მოხელეს წინასაარჩევნო პერიოდში ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება *(ეს გულისხმობს ნებისმიერი ადმინისტრაციული რესურსის, ტელეფონის, ფაქსის, კომპიუტერის, ქაღალდის, ბაინდერის, ტრანსპორტის, საწვავისა და ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე არსებული სხვა ნებისმიერი ქონების გამოყენებას).*

(საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48 მუხლი პირველი პუნქტი)

- იმ საჯარო მოხელეს, რომელსაც აქვს საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება, ეკრძალება:

(საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49- მუხლი)

- ✓ სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას;

(საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49- მუხლი პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტი)

- ✓ სამსახურებრივი მივლინების დროს ხელმოწერების შეგროვება და საარჩევნო აგიტაციის გაწევა;

(საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49- მუხლი პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტი)

- ✓ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა სამუშაო საათების ან/და სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება მინისტრსა და მის მოადგილეებზე.

(საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49- მუხლი პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტი)

➤ არჩევნებამდე 60 დღით ადრე, არჩევნების დღის ჩათვლით, აკრძალულია

✓ ისეთი პროექტების/ პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტში. კერძოდ, აკრძალულია სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვ.) ოდენობის გაზრდა, გარდა იმ გასაცემლებისა, რომელთა ოდენობის ზრდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე;

(საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49- მუხლი მე-3 და მე-4 პუნქტები)

✓ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ისეთი სააგიტაციო მასალის, ვიდეო- ან აუდიომასალის დამზადება, ვებგვერდის ან მისი ნაწილის შექმნა, რომელშიც/რომელზეც ასახულია ესა თუ ის საარჩევნო სუბიექტი ან მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი, ან/და რომელიც შეიცავს ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერ/საწინააღმდეგო ინფორმაციას;

(საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49- მუხლი მე-6 პუნქტი)

✓ ამავე პერიოდში აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით დამზადებულ სოციალურ რეკლამაში საარჩევნო სუბიექტის/პოლიტიკური პარტიის ან მისი რიგითი ნომრის გამოყენება.

(საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49- მუხლი მე-6 პუნქტი)

➤ აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე/პრეზენტაციაზე ორგანიზატორის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა.

(საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45- მუხლი მე-7 პუნქტი)

➤ არჩევნების დანიშნვიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე აკრძალულია:

✓ საარჩევნო სუბიექტებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების გადაცემა, მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე, დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების გაცემის დაპირებით (*ანუ საჯარო მოხელეს ეკრძალება საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ამ მოქმედების განხორციელება, მათ შორის, არასამუშაო პერიოდში*);

(საქართველოს საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის 1 პუნქტის ა) ქვეპუნქტი)

✓ ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ პირადი ფულადი სახსრებით ან/და საარჩევნო სუბიექტის სახსრებით ისეთი სამუშაოს შესრულება, ან მომსახურების გაწევა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით სახელმწიფო ხელისუფლების

(საქართველოს საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის 1 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი)

